სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

05 ივნისი 2026

N 382/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, შპს „დეიუ ნიუ ენერჯი ფარავანის“ 130 მვტ სიმძლავრის „ფარავანის“ ქარის ელექტროსადგურის, 220 კვ ძაბვის ქვესადგურის და ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 3.4 და 3.9 ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, შპს „დეიუ ნიუ ენერჯი ფარავანის“ 130 მვტ სიმძლავრის „ფარავანის“ ქარის ელექტროსადგურის, 220 კვ ძაბვის ქვესადგურის და ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N14;
2. შპს „დეიუ ნიუ ენერჯი ფარავანი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N14 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „დეიუ ნიუ ენერჯი ფარავანს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „დეიუ ნიუ ენერჯი ფარავანის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/382-21-4-202606051605

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE